საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1769

2016 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

შპს „არქიტექსის“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. ,,სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – კუმურდოს გუმბათიანი ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს „არქიტექსი“ (ს/ნ: 404479408) გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან 3 თვის ვადით და მიეცეს უფლება, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ასფარას მიმდებარე ტერიტორიაზე მოიპოვოს 600 (ექვსასი) $მ^3$ ლოდნარი, შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

№	X	Y
1	392926	4589672
2	392982	4589540
3	392754	4589399
4	392716	4589448
S =2,84 ჰა		
WGS 1984.		

2. შპს „არქიტექსი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნით (გეოსაინფორმაციო პაკეტი) განსაზ-ღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს 10 000 (ათი ათასი) ლარი, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. შპს „არქიტექსის“ მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. შპს „არქიტექსმა“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**